ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01183123237**
თარიღი: **08/11/2018**
პინი: **2947**

ადრესატი: შპს მეგობრობა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400015032
მისამართი: ქ. თბილისი, ივანე კაჭარავას 37

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

თქვენი N10/01181973075-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, დასახლება თემქა, III მიკრო/რაიონი, კვარტალი V (საკ. კოდი N01.12.02.010.012) (საკ. კოდი) 2018 წლის 15 ივნისის N4017375 (AR 1598963) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. შემცირებულია გამწვანება. დამატებულია შლაგბაუმი.

„2-3“ მონაკვეთში გაზრდილია საფეხურების რაოდენობა. ლიფტში შესავლელთან ნიშნული დაწეულია. სახურავზე გაზრდილია გამწოვი შახტების რაოდენობა.

შეცვლილია ლითონის მოაჯირების ნახატი. „1-7“ და „7-1“ ფასადებზე +29.70 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის ფერი.

„1-7“ ფასადზე +29.70 ნიშნულის ზევით „1-3“ მონაკვეთში ტიხრებს მონაცვლებული აქვს ადგილი. „4-5“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. „7-7“ ღერძის გარეთ დამატებულია ლოთონის ცხაური.

„7-1“ ფასადზე შემცირებულია სადარბაზოს ცხაურების გაბარტი. „6-5“ და „3-2“ მონაკვეთში დამატებულია ლითონის კარები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება“.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი